



გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებული ოჯახში ძალადობის
დანაშაულები, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და გამოწვევები

ლაშა მერაბიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ დგებუაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა, მერაბიშვილი,

ხელმოწერა -----

(30.01.2021)

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, 2012 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა ოჯახური დანაშაულის ცნება. ასევე განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობისთვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობის დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და შემადგენელი ნაწილი - გენდერული დისკრიმინაციის მოტივი, რომელიც ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის. საკითხის პრაქტიკული მხარე საკმაოდ მრავალფეროვანია, ხსენებული კი ავლენს, თავის მხრივ, არაერთ ღია საკითხს, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს განხილვის თემას.

ნაშრომში განხილულია გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებული ოჯახში ძალადობის დანაშაულები, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და გამოწვევები, ასევე მოტივის, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი და სასჯელის დამამძიმებელი გარემოების დანერგვის შედეგად ქართული მართლმსაჯულებისთვის მოტანილი დადებითი შედეგები. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების, არაერთი ლიტერატურისა და პრაქტიკული მაგალითების ანალიზი იძლევა იმის საფუძველს, რათა მკითხველს ჩამოუყალიბდეს პოზიცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან, სანდო და ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ დამუშავებული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, პასუხი გავცეთ ნაშრომში დასმულ მთავარ კითხვას, გენდერული ნიშნის დისკრიმინაციით ჩადენილი ოჯახში ძალადობის დანაშაული რეალურად წარმოადგენს, თუ არა მაკვალიფიცირებელ და მისთვის განსასაზღვრი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას და მასზე მკაცრი

რეაგირება ახდენს, თუ არა სიძულვილის ენით მოტივირებული დანაშაულის, მოცემულ შემთხვევაში კი - ოჯახში ძალადობის, პრევენციას.

საკვანძო კითხვები: ოჯახში ძალადობა, გენდერული დისკრიმინაცია, სიძულვილის ენის მოტივით ჩადენილი დანაშაულები.

Abstract

Concept of domestic violence and the rules of criminal procedures were defined based on a legislative amendment in the Criminal Code of Georgia implemented on 12th of June in 2012.

The legislative act mentioned above contains one of the most actual and frequently occurred domestic crimes that is based on gender discrimination and is a new direction for Georgian justice system. A practical side of the topic is enough diversified to be considered as a matter of discuss.

There are interpreted offences related to domestic violence motivated by gender discrimination in the mentioned legislative act and moreover, are reviewed challenges and legislation actions addressing to the family violence. The fact that motive was introduced as aggravating circumstances impacted positively on Georgian justice system. Internal legislative acts, official literature and practical examples make the base for readers to analyze and raise their opinion about the topic mentioned above.

Moreover, by taking into account quantitative data distributed by trusted and authorized organizations makes an opportunity to answer the main question of this work: if the crimes related to domestic violence motivated by gender discrimination is aggravating circumstances genuinely and if timely and severe address to the crime prevent hate speech motivated offences, more clearly, in our case, family violence.

Key words: domestic violence; gender discrimination; hate speech motivated crimes.